სარეკომენდაციო წერილი

აუდიტის ობიექტი: **აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო**

აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელი:

ბატონი ზაურ ფუტკარაძე

1. გამოვლენილი გარემოება

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" დირექტორის 2014 წლის 19 მაისის N85 ბრძანების საფუძველზე, ცენტრის თანამშრომელი[1] 2014 წლის 20 მაისიდან 23 ივნისამდე, გასულია შვებულებაში და გადახდილია 1 733,33 ლარი, მათ შორის თანამდებობრივი სარგო 1 040 ლარი და საშვებულებო ანაზღაურება 693,33 ლარი. 2014 წლის ივნისის თვეში აღნიშნულ თანამშრომლეზე გაცემულია ივნისის თვის სრული თანამდებობრივი სარგო 1 040 ლარი. სულ მაისისა და ივნისის თვეში გაცემულია 2 773 ლარი, ანუ ორი თვის თანამდებობრივ სარგოსთან (1040*2=2080 ლარი) შედარებით 693,33 ლარით მეტი, ამასთან აღნიშნული სხვაობა „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების" სახით არ არის ასახული 2014 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს დირექტორის 2014 წლის 19 მაისის N85 ბრძანების საფუძველზე ცენტრის თანამშრომელზე 693,33 ლარის ოდენობით, ზედმეტად დარიცხული თანამდებობრივი სარგოს ფიანსურ ანგარიშგებაში და შესაბამის ბიუჯეტში ასახვა.

[1] რესან ჩოგაძე

2. გამოვლენილი გარემოება

დაბა ჩაქვის ციტრუსოვანთა სანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე არსებული შენობა-ნაგებობის დაშლის შედეგად არსებული მასალები (155 კვ.მ ხის მასალა და მეტალო კრამიტი) არ არის ასახული 2014 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. შესაბამისად, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" მიერ ერთი და იგივე შენობის სახურავის მოწყობისათვის ორჯერ 8 737 ლარის ხარჯების გაწევა, საბიუჯეტო სახსრების არაეკონომიკურ განკარგვაზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის დაშლის შედეგად მიღებული აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.

3. გამოვლენილი გარემოება

,,აგროსერვის ცენტრის'' სარგებლობაში არსებული ანგარის (ანაკრები ლითონის კონსტრუქცია) დემონტაჟის, აღნიშნული ანგარის ქობულეთის მუნიციპალიტეტში მდებარე ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის'' ტერიტორიაზე ტრანსპორტირებისა და ადგილზე მონტაჟის სამუშაოებთან დაკავშირებით, 2014 წლის 8 დეკემბერს გაფორმებულია ხელშეკრულება შპს ,,ENERGO22-თან", 241 643 ლარის ღირებულების სამუშაოების შესრულებაზე. სატენდერო წინადადების და ხელშეკრულების მიხედვით, იმ შემთხვევაში თუ სამუშაოების დასრულება არ ესწრება 2014 წლის 20 დეკემბრამდე, მაშინ მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულების ღირებულების ფარგლებში, ამ დროისათვის აუთვისებელ თანხაზე, არაუგვიანეს 2014 წლის 20 დეკემბრისა, წარმოადგინოს საავანსო გადახდის საბანკო გარანტია, რის შემდეგაც განხორციელდება საავანსო ანგარიშსწორება. წარმოდგენილი დოკუმენტებით ირკვევა, რომ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში (2014 წლის 20 დეკემბერი) არა აქვს სამუშაოები შესრულებული, ხოლო საავანსო გადახდის საბანკო გარანტია გაცემულია 2014 წლის 29 დეკემბერს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ხელშეკრულების პირობებით სამუშაოები უნდა დასრულებულიყო ხელშეკრულების გაფორმებიდან 60 კალენდარული დღის განმავლობაში, 2015 წლის 8 თებერვლამდე, თუმცა აღნიშნულ პერიოდში დასრულებულია სამუშაოების მხოლოდ 33%, ღირებულებით 79 772 ლარი. შესაბამისად, ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევით, საბანკო გარანტიის დაგვიანებით წარმოდგენის პირობებში, 241 643 ლარის ავანსად გადახდა, შესყიდვების მართვასთან დაკავშირებულ ხარვეზებზე მიუთითებს.

რეკომენდაცია

ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა ეფექტური მონიტორინგი, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებათა სრულად შესრულების მიზნით.

უფროსი აუდიტორი/გურამ დუმბაძე

უფროსი აუდიტორი/ნადიმ ბოლქვაძე

თარიღი: 24.03.2015წ.

დანართი #1 - სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული რეკომენდაციები
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

	რეკომენდაცია
1	ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს დირექტორის 2014 წლის 19 მაისის N85 ბრძანების საფუძველზე ცენტრის თანამშრომელზე 693,33 ლარის ოდენობით, ზედმეტად დარიცხული თანამდებობრივი სარგოს შესაბამის ბიუჯეტში ასახვა.
2	ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის დაშლის შედეგად მიღებული აქტივების ფინანსურ ანგარიშგებაში ასახვა.
3	ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრის" ხელმძღვანელობამ უზრუნველყოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებათა ეფექტური მონიტორინგი, მათი შემდგომში სრულად შესრულების მიზნით.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

#1

რეკომენდაცია	
გამოყენებული ფინანსური სახსრები	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესრულების თარიღი	
განხორციელებული აქტივობა	
აუდიტის ობიექტის პასუხი რეკომენდაციაზე	

#2

რეკომენდაცია	
გამოყენებული ფინანსური სახსრები	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესრულების თარიღი	
განხორციელებული აქტივობა	
აუდიტის ობიექტის პასუხი რეკომენდაციაზე	

#3

რეკომენდაცია	
გამოყენებული ფინანსური სახსრები	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესრულების თარიღი	
განხორციელებული აქტივობა	
აუდიტის ობიექტის პასუხი რეკომენდაციაზე	

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტრო

#1

რეკომენდაცია	
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი რეკომენდაციაზე	
დასაბუთება უარის შემთხვევაში	
რეკომენდაციის შესრულების დაწყების დაგეგმილი თარიღი	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობა	
რეკომენდაციის საბოლოო შესრულების დაგეგმილი თარიღი	

#2

რეკომენდაცია	
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი რეკომენდაციაზე	
დასაბუთება უარის შემთხვევაში	
რეკომენდაციის შესრულების დაწყების დაგეგმილი თარიღი	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობა	
რეკომენდაციის საბოლოო შესრულების დაგეგმილი თარიღი	

#3

რეკომენდაცია	
აუდიტის ობიექტის ხელმძღვანელობის პასუხი რეკომენდაციაზე	
დასაბუთება უარის შემთხვევაში	
რეკომენდაციის შესრულების დაწყების დაგეგმილი თარიღი	
პასუხისმგებელი პირი რეკომენდაციის შესრულებაზე	
რეკომენდაციის შესასრულებლად დაგეგმილი აქტივობა	
რეკომენდაციის საბოლოო შესრულების დაგეგმილი თარიღი	